

შპს ჯორჯიან სერვის გრუპი
(თანხები მოცემულია ლარში)

შპს ჯორჯიან სერვის გრუპი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
(არააუდირებული)

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს ჯორჯიან სერვის გრუპი
(თანხები მოცემულია ლარში)

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	2023	2022
ამონაგები	10	12,370,220.00	11,619,411.00
თვითღირებულება		(10,066,457.00)	(9,239,952.00)
საერთო მოგება		2,303,763.00	2,379,459.00
სხვა შემოსავლები	11	35,549.00	34,279.00
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1,859,688.00)	(2,068,986.00)
მიწოდების დანახარჯები		-	
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	13	(19,590.00)	(17,271.00)
სხვა ხარჯები		-	(2,116.00)
საოპერაციო მოგება		460,034.00	325,365.00
ფინანსური შემოსავალი		4,595.00	
ფინანსური ხარჯი	14	(59,691.00)	(27,176.00)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(55,096.00)	(27,176.00)
მოგება დაბეგვრამდე		404,938.00	298,189.00
გაცემული დივიდენდი		-	
მოგების გადასახადი		-	(2,229.00)
წმინდა მოგება		404,938.00	295,960.00
სხვა სრული შემოსავალი:		-	
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	
მთლიანი სრული შემოსავალი		404,938.00	295,960.00

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:



ვიტალი სერგია

შპს ჯი ეს ჯი ფრეით ფორვარდინგ
(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2023	2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	591,667.00	273,540.00
არამატერიალური აქტივები	4	4,393.00	3,733.00
გუდვილი		-	-
საინვესტიციო ქონება		2,433,240.00	2,433,240.00
ბიოლოგიური აქტივი		-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		-	-
		3,029,300.00	2,710,513.00
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	19,321.00	341,249.00
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1,520,426.00	1,353,162.00
მარაგები	7	17,935.00	790.00
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	-
		1,557,682.00	1,695,201.00
მთლიანი აქტივები		4,586,982.00	4,405,714.00
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,843,798.50	1,902,651.00
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		905,015.00	492,434.00
გადაფასების რეზერვი		-	-
		2,748,813.50	2,395,085.00
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	99,832.00
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		395,186.00	860,446.00
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	1,431,483.50	1,028,522.00
საგადასახადო ვალდებულებები		11,499.00	21,829.00
მთლიანი ვალდებულებები		1,838,168.50	2,010,629.00
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		4,586,982.00	4,405,714.00

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 1 ოქტომბრის შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:



ვიტალი სერგია

6 - 15 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს ჯორჯიან სერვის გრუპი
(თანხები მოცემულია ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	1,902,651.00	492,434.00	2,395,085.00
წმინდა მოგება	-	412,581.00	412,581.00
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	412,581.00	412,581.00
გაცემული დივიდენდი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	(58,852.50)		(58,852.50)
2023 წლის 31 დეკემბერი	1,843,798.50	905,015.00	2,748,813.50

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის
1 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ვიტალი სერგია

6 - 15 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შესავალი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს ჯორჯიან სერვის გრუპი (ს/კ 215127565) შემდგომში – კომპანია, დაფუძნდა 2005 წლის 6 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, პავლე ინგოროყვას ქუჩა, N 12.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის კაპიტალის 100% წილის მფლობელია: ვიტალი სერგია (პ.ნ.58001003080), რომელიც ასევე წარმოადგენს ჯგუფის გენერალურ დირექტორს.

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკუთარი ან იჯარით აღებული ქონების გაქირავება.

კომპანიას დაფუძნებული აქვს შვილობილი კომპანიები:

- შპს „ჯი ეს ჯი ფრეით ფორვარდინგ“ 100%-იანი წილის ფლობით, 2016 წლის 23 დეკემბერს.
- შპს „ალასკა“ 50%-იანი წილის ფლობით 2018 წლის 8 აგვისტოს.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და ჯგუფის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2023 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2023 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. ჯგუფი არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

კონსოლიდირების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საოპერაციო შედეგების და კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის მოძრაობის უწყისისგან.

შვილობილი საწარმოები სრულად კონსოლიდირდება შესყიდვის თარიღიდან, რომელიც წარმოადგენს თარიღს როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს და წყვეტს კონსოლიდირებას, როდესაც ჯგუფი დაკარგავს კონტროლს. შვილობილი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, საოპერაციო შედეგები და საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება მომზადებულია იმავე სააღრიცხვო პერიოდისთვის რაც კომპანიისა, სადაც გამოყენებულია თანმიმდევრული სააღრიცხვო პოლიტიკა. ყველა შიდა ჯგუფური ბალანსები, შიდა ჯგუფური ტრანზაქციები და არარეალიზებული შიდა ჯგუფური მოგება და ზარალი და დივიდენდები სრულად ელიმინირდება.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ საწარმოს:

შპს „ჯი ეს ჯი ფრეით ფორვარდინგ“ – 100%

შპს „ალასკა“ – 50%

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, ჯგუფი გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

წარმოდგენილი ანგარიშგების ვალუტა

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.6894	2.7020
1 ევრო/ლარი	2.9753	2.8844

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადის საშუალებებიდან ნაგებობები და სატრანსპორტო საშუალებები დატვირთულია სესხის უზრუნველყოფით.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)

მწ	
შენიშვნები	20
სატრანსპორტო საშუალებები	10
სხვა ძირითადი საშუალებები	5

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 0 ლარს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის

წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ფინანსური და საოპერაციო იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა შემთხვევაში იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

იჯარის ვადის დასაწყისისათვის აქტივის გამოყენებაზე უფლებები და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში.

ვალდებულება მეიჯარის წინაშე ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და დაუფარავი ვალდებულების შემცირებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ხარჯი ასახულია მოგებაში ან ზარალში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივები შესულია ძირითად საშუალებებში და მათ ცვეთა და გაუფასურება ერიცხებათ იგივე გზით, როგორც სხვა ფლობილ აქტივებს. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აისახება იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო.

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად ჯგუფის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოდან დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი აღიარდება სხვა შემოსავალში.

თუ, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებობს ნიშანი იმისა, რომ ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია შეიძლება იყოს

გაუფასურებული, ინვესტიციის მთლიანი საბალანსო ღირებულება მოწმდება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება ნაკლებია მისივე ანაზღაურებად ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება შემცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მოგების გადასახადი

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოწვევებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება

შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

საწესდებო კაპიტალი

კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესაბამება დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსხხგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

კომპანიის შვილობილი კომპანიის ხელმძღვანელობამ 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გაასწორა წინა პერიოდის შეცდომები. შესაბამისად კონსოლიდირებული ანგარიშგებაშიც ხელმძღვანელობამ ასახა ცვლილებები. ხელმძღვანელობის მოსაზრებით ახალი წარდგენა უფრო სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და სრულ შემოსავალს. კონკრეტულად, შვილობილი საწარმოს ხელმძღვანელობამ განახორციელა ცვლილებები შემდეგ საკითხებზე:

მოახდინა ძველი პერიოდის შემოსავლის და ხარჯების კორექტირება, შემოსავალი შემცირდა 208621

შპს ჯორჯიან სერვის გრუპი
(თანხები მოცემულია ლარში)

ლარით, რაც გამოწვეული იყო შემოსავლის გატარების დუბლირებით. ხარჯი გაიზარდა 128285 ლარით, რაც გამოწვეული იყო ხარჯის გატარების გამორჩენით. ჯამში გაუნაწილებელი ზარალი გაიზარდა 336906 ლარით. შესაბამისად კომპანიამ აღნიშნული შეცდომების კორექტირების გატარებით, მოახდინა შესაბამისი დებიტორის და კრედიტორის გასწორება.

შენიშვნა 3						
ძირითადი საშუალებები						
	შენიშვნა 3	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა-დანადგარები	სულ
31 დეკემბერი 2022	206,353	36,610	15,805	300,790	504	560,062
შემოსვლა			495	67,453	349,112	417,060
გასვლა		0		134,040		134,040
31-Dec-23	206,353	36,610	16,300	234,203	349,616	843,082
ცვეთა და გაუფასურება	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-61,333	-28,158	-11,134	-185,702	-197	-286,524
პერიოდის ცვეთა	-6,913	-5,477	-1,635	-28,302	-7,126	-49,453
გასვლა				84,562		84,562
31-Dec-23	-68,246	-33,635	-12,769	-129,442	-7,323	-251,415
წმინდა საბალანსო ღირებულება	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	145,020	8,452	4,671	115,088	307	273,538
31-Dec-23	138,107	2,975	3,531	104,761	342,293	591,667

შენიშვნა 4

არამატერიალური აქტივი

	2023	2022
პროგრამული უზრუნველყოფა	13518	5,400
ამორტიზაცია	-9125	(1,667)
სულ	4393	3,733

შენიშვნა 5

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2023	2022
ნაღდფულადი		
ქრძდულ ბანკი	16315	340,383
უქრდულ ბანკი	3006	866
სულ	19321	341,249

შენიშვნა 6

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნა- ნეტო	1083892	813,370
გადადებული	406322	504,029
სავაჭრო მოთხოვნა		7,807
სხვა მოთხოვნები	30212	27,955
სულ	1,520,426	1,353,162

შპს ჯორჯიან სერვის გრუპი
(თანხები მოცემულია ლარში)

შენიშვნა 7
მარაგები

	2023	2022
სქნულ	17968	790
სულ	17968	790

შენიშვნა 8
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2023	2022
საქონლად აღებული	1296906.5	1,000,668
ვალდებულებები	1794	1,980
მზღვრები	132783	25874
სულ	1431483.5	1,028,522

შენიშვნა 9
ამონაგები

	2023	2022
ამონაგები	12039111	11,274,817
ამონაგები	291067	300,915
სა შემოსავლი	40042	43679
სულ	12,370,220	11,619,411

შენიშვნა 10
სხვა შემოსავლები

	2023	2022
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული წმინდა შემოსავალი	21,323	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	14,225	34,279
სულ	35,549	34,279

შენიშვნა 11
ზოგადი და ადმონისტრაციული ხარჯები

	2023	2022
სა ხარჯი	(325,997)	(451,209)
შოს ანაღრბა დსა ად ხარჯი	(1,384,458)	(1,390,831)
რენტი		(33,212)
ოჯის ხარჯი		(31,167)
საწევი	(17,147)	(28,222)
კონტაღხარჯი	(19,059)	(19,563)
კონტაღხარჯი	(8,937)	(9,818)

შპს ჯორჯიან სერვის გრუპი
(თანხები მოცემულია ლარში)

დღევანდელი	(12,200)	(19,755)
საკონსოლიდაციო	(43,081)	(47,807)
ფინანსური	(48,809)	(37,300)
მფლობელების		(102)
სულ	(1,859,688)	(2,068,986)

შენიშვნა 12

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2023	2022
საკონსოლიდაციო	(19,590)	(17,271)
სულ	(19,590)	(17,271)

შენიშვნა 13

ფინანსური ხარჯი

	2023	2022
საინვესტიციო	59,691	27,176
სულ	59,691	27,176

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი

ოპერაციები:

მომსახურების მიწოდება:

	2023	2022
მომსახურება	47,079	38,778
სულ	47,079	38,778

დაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებულია მოკლევადიანი იჯარის ხელშეკრულება, რომლის ღირებულება განსაზღვრულია საბაზრო ფასით

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების

დაუფარავი ნაშთები:

	2023	2022
მომსახურება	41,693	41,294
სულ	41,693	41,294

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

შპს ჯორჯიან სერვის გრუპი
(თანხები მოცემულია ლარში)

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად
ნებადართულია დირექტორის მიერ 2024 წლის 1 ოქტომბერს.